საიდ. №68495/03

IR 532631

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №06-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), მ. ბ. დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „მელიტა ჰაუშალტსპროდუქტე გმბჰ & კო. კგ”-ის (Melitta Haushaltsprodukte GmbH & Co. KG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №06-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №2398/03 ბრძანების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Melitta” (საიდ. 68495/03 IR 532631) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭება საქართველოში 30-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ყავა; ყავის ექსტრაქტები; ყავა ხსნადი” (Coffee; coffee extracts; instant coffee) (30-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის №2398/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "Melitta" მსგავსია შპს „ბარამბო“-ს (მისამართი: სოფ. ნატახტარი, მცხეთა, 3308), სახელზე 30–ე კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული ნიშნისა „მელიტა Melita Мелита“ (რეგისტრაციის № 22660, თარიღი 07.06.2012). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ მსგავსი ჟღერადობა. ვიზუალური და ფონეტიკური მსგავსება ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად ნაწილობრივ, 30-ე კლასის მიმართ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „მელიტა ჰაუშალტსპროდუქტე გმბჰ & კო. კგ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ნიშანი ითვლება სხვა ნიშნის აღრევამდე მსგავსად, თუ იგი ასოცირდება მასთან მთლიანობაში, ცალკეული განსხვავებების მიუხედავად. ნიშანთა მსგავსების შეფასება წარმოებს ზოგადი შთაბეჭდილების საფუძველძე. ამავე დროს, ზოგადი შთაბეჭდილების ფორმირება შეიძლება ხდებოდეს ნიშნის ნებისმიერი თავისებურების ზემოქმედებით, მათ შორის დომინანტური სიტყვიერი ან გრაფიკული ელემენტების, მათი კომპოზიციური და ფერად-გრაფიკული გადაწყვეტის და სხვ. აპელანტის პოზიციით, ნიშნის სახეობიდან (სიტყვიერი, გამოსახულებითი, ხმოვანი და სხვ.) და/ან მისი გამოყენების ხერხიდან გამომდინარე, ზოგადი შთაბეჭდილება შეიძლება იყოს მხედველობითი ან ხმოვანი. განსახილველი ნიშნების უშუალო შედარებისას ნათელია, რომ ისინი ახდენენ აბსოლუტურად განსხვავებულ მხედველობით

შთაბეჭდილებას. აპელანტის მითითებით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი IR No. 532631 არის კომბინირებული სასაქონლო ნიშანი, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ აღნიშვნას. განცხადებული ნიშნის გამოსახულებითი ელემენტი შედგება მკაფიო წითელი ფერის რთული გეომეტრიული ფიგურისაგან, რომელზეც შემოვლებულია ოქროსფერი არშია და ამ ფონზე განლაგებულია სიტყვიერი ელემენტი. ასევე აღსანიშნავია, რომ განსახილველი ნიშნების სიტყვიერი ელემენტებიც ხასიათდება მნიშვნელოვანი განსხვავებებით. ნიშნები შესრულებულია სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული შრიფტებით. აპელანტის განმარტებით, განცხადებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი "Melitta" შედგება ერთი სიტყვისაგან, რომელიც შესრულებულია თეთრი ფერის ლათინური შრიფტით, მთავრული ასოთი დასაწყისში, გაკრული ხელით, ორიგინალური შრიფტით. ხოლო, დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერი ელემენტი შედგება სამი სიტყვისაგან, რომლებიც შესრულებულია ქართული, ლათინური და რუსული ალფავიტით შავი ფერის სტანდარტული შრიფტებით, მთავრული ასოთი დასაწყისში. აპელანტის პოზიციით, განსახილველი ნიშნების ფონეტიკური მსგავსების თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი აბსოლუტურად განსხვავებულად წარმოითქმება. განცხადებული ნიშანი წარმოითქმება, როგორც „მე-ლიტ-ტა", ხოლო დაპირისოპირებული სასაქონლო ნიშანი კი როგორც „მე-ლი-ტა". განცხადებული ნიშანი შედგება სამი მარცვლისაგან, რომელიც შეიცავს 7 ფონემას, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი შედგება ორი მარცვლისაგან და 18 ფონემისაგან, ანუ დაპირისპირებული ნიშანი გაცილებით უფრო ხანგრძლივად ჟღერს ვიდრე განცხადებული ნიშანი. აპელანტის განმარტებით, მარცვლებისა და ფონემების განსხვავება, მოცემულ შემთხვევაში, არის მნიშვნელოვანი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომხმარებელი ზუსტად ვერ დაიმახსოვრებს ამა თუ იმ ნიშანს, იგი დიდი ალბათობით შეძლებს გაიხსენოს იყო ნიშანი მოკლე თუ ხანგრძლივი ჟღერადობის. ვინაიდან დაპირისპირებული ნიშანი თავისი არსით წარმოადგენს სამ სიტყვას (მელიტა), იგი შეიცავს დამატებით მახვილებს თითოეულ მათგანში, მაშინ, როდესაც განცხადებული ნიშანი წარმოადგენს ერთ სიტყვას და გააჩნია მხოლოდ ერთი მახვილი. აპელანტის მითითებით, სიტყვიერი მახვილი არის

მეტყველების კომპონენტების, ამ შემთხვევაში მარცვლის, რაიმე აკუსტიკური ხერხით გამოყოფა, რომელიც წარმოითქმება სხვა მარცვლებთან შედარებით უფრო ხმამაღლა და ხანგრძლივად. მახვილიანი მარცვლები ასევე ანიჭებენ სიტყვებს და წინადადებებს განსაკუთრებულ რიტმს. ამდენად, განცხადებული სასაქონლო ნიშანი და დაპირისპირებული ნიშანი ვერ ჩაითვლება აღრევამდე მსგავსად, მათ შორის, ფონეტიკური თვალსაზრისითაც. აპელანტის განმარტებით, სავსებით ნათელია, რომ სასაქონლო ნიშნების აღქმისას, ისე როგორც ნებისმიერი სხვა ნიშნის აღქმისას, მომხმარებელი არ ანაწევრებს მათ შემადგენელ ნაწილებად, არამედ აღიქვამს მათ მთლიანობაში. ამდენად, განცხადებული კომბინირებული ნიშნის და დაპირისპირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის აღქმისას მომხმარებელი განიხილავს მათ მათი შემადგენელი სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტების ერთობლიობაში. ასეთი აღქმის შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ განცხადებული ნიშანი არ არის დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის აღრევამდე მსგავსი იმის გამო, რომ განსახილველი ნიშნები ახდენენ განსხვავებულ შთაბეჭდილებას, რომელიც ფორმირდება ნიშნების სხვადასხვა კომპოზიციური და ფერად-გრაფიკული გადაწყვეტის საფუძველზე. ნიშნები არ ასოცირდება ერთმანეთთან მთლიანობაში და არ ტოვებენ ერთი მფლობელისადმი კუთვნილების შთაბეჭდილებას. ამასთან, განცხადებული ნიშნის მფლობელი კომპანია არის ცნობილი გერმანული კომპანია, რომელიც აწარმოებს ყავის ფილტრებს, ყავის ხარშვის დროს გამოსაყენებელ აქსესუარებს, ასევე იმას, რაც ასე თუ ისე დაკავშირებულია ჩაისთან და ყავასთან, გარდა ამისა, მტვერსასრუტების ფილტრებს და სახლის მოვლის პროდუქტების დიდ ასორტიმენტს. ყველაზე მეტად, კომპანია „Melitta" აწარმოებს ყავის მანქანების, ყავის მოსადუღებლების, ყავის ფილტრების, ყავის მარცვლებისა და ყავის მოდუღების აქსესუარებს. კომპანიის მიერ წარმოებული ყავის მოწყობილობები შექმნილია ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით და გამოირჩევა საუკეთესო ფუნქციურობით, ექსპლუატაციის მოსახერხებლობით, აგრეთვე შესანიშნავი, მოდერნის სტილით, დიზაინით. პროდუქცია მთლიანად შეესაბამება თანამედროვე ევროპულ სტანდარტებს. ცნობილი გერმანული კომპანიის „Melitta" ისტორია იწყება 1910 წლიდან, როდესაც მისმა დამაარსებელმა

– „მელიტა ბენცმა”, დრეზდენის მაცხოვრებელმა, მოიგონა ყავის ნალექის მოშორება ქაღალდის ფილტრის საშუალებით. შემდგომში ტექნოლოგიები გაუმჯობესდა, პროდუქციის ასორტიმენტი გაფართოვდა და კომპანია გაიზარდა. აპელანტის მითითებით, კომპანია „Melitta”-ს ზოგიერთი გამოგონება (მაგალითად “საფილტრი აპარატი”) იწვევდა სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოების აღფრთოვანებას საერთაშორისო გამოფენებზე გენიალური იდეებით და ფუნქციურობით. ყავის მოწყობილობების გამოშვებასთან ერთად, კომპანიამ დაიწყო კერამიკული ჭურჭლის გამოშვება, რომელიც იქცა ხარისხისა და ინოვაციური დიზაინის მაგალითად. კომპანიამ შეიძინა საკუთარი საფირმო სტილი. 1925 წლიდან დღემდე, კომპანია „Melitta” აწარმოებს შეფუთვას საკუთარ საფირმო ფერებში – წითელი და მწვანე. მომხმარებელი მას პირველი შეხედვით ცნობს, რადგან ეს არის ხარისხი. 1962 წლიდან კომპანიამ გააფართოვა ასორტიმენტი და გახდა ყავის სრულფასოვანი მწარმოებელი. “Melitta” არის პირველი კომპანია გერმანიაში, რომელმაც დაიწყო დაფქვილი ყავის გამოშვება ვაკუუმურ შეფუთვაში – ეს პროდუქტი მაშინვე გახდა პოპულარული მომხმარებელთა შორის. ოდნავ მოგვიანებით, 1966 წელს, კომპანიამ გამოუშვა პირველი ელექტრონული ყავის მოსადუღებელი, იმ დროს ეს იყო ყავის მოდუღების უსწრაფესი მეთოდი – 8 პორცია წუთში. ამის გამო ყავა „Melitta”-ს ფილტრებში გახდა ყავის მოსადუღებლების მწარმოებელთათვის სტანდარტი. კომპანია სწრაფად ზრდის ტემპებს, ქმნის ახალ მოდელებს, აფართოვებს ასორტიმენტს. 1991 წელს ბაზარზე გამოჩნდა კომპანი „Melitta”-ს მორიგი ინოვაცია – ყავის მოდუღების ინტერვალური სისტემა. ეს ტექნოლოგია ყავის არომატის და გემოს უფრო გაძლიერების საშუალებას იძლეოდა. ადუღებული წყალი გროვდება ცალკე სათავსოში და შემდეგ ესხმება ყავას – დაფქვილი ყავა ივსება წყლით, იწყებს ტრიალს და ამგვარად იხარშება. ამ დროს ხდება ყავაში არსებული არომატული ნივთიერებების და ზეთების ოპტიმალური ექსტრაქცია და ყავის გემო და არომატი მდიდრდება. აპელანტის განმარტებით, კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს ხარისხის კონტროლს. ამის გამო კომპანია „Melitta”-ამ დაიმსახურა უამრავი დადებითი გამოხმაურება ხარისხთან დაკავშირებით, ასევე დაიმსახურა მრავალი პრემია და ჯილდო დიზაინისა და ინოვაციისთვის (მათ შორის ისეთი

პრესტიჟული ჯილდო, როგორიცაა "Red Dot Design"). მოგვიანებით დაიწყო სრულად ავტომატიზებული მარცვლოვანი ყავის მანქანების გამოშვება. კომპანია „Melitta”-ს ყავის მანქანები უდაოდ კარგი ექსპერიმენტია, რომელმაც კომპანიას მოუტანა უფრო მეტი პოპულარობა მსოფლიო ბაზარზე. კომპანია „Melitta”-ს ყავის მანქანები წარმოდგენილია სხვადასხავა სერიებით (Caffeo, Lattea) და მიმართულია მომხმარებელთა ფართო წრეზე. სრულად ავტომატიზებული ყავის მანქანების სამოდელო ხაზი ძალიან საიმედოა, რაზეც მიუთითებს ორწლიანი გარანტია. კომპანია „Melitta”-ს ყავის მანქანები გამოირჩევა უდავო უპირატესობით სხვა ანალოგიური საქონლისაგან. კომპანია „Melitta” – ეს არის მკაცრი, მინიმალისტური დიზაინი „high-tech” სტილში, კომპაქტური ზომები, მრავალფუნქციურობა და მოხერხებულად გამოსაყენებელი. 2009 წელს გამოვიდა ყავის მანქანების ახალი სერია "LATTEA", რომელიც გამოირჩევა მოდური დიზაინით, სხვადასხვა ფერადი გადაწყვეტით. ამ ყავის მანქანების ძირითად თავისებურებას წარმოადგენს მათი ზომები – ისინი ნამდვილად კომპაქტურებია. კომპაქტური ყავის მანქანები "Melitta LATTEA" დაეტევა ნებისმიერ, თუნდაც პატარა სივრცეში, ამავე დროს, ისინი საშუალებას იძლევა მომზადდეს ყავის მთელი რეცეპტურა და პასუხობს გურმანების ნებისმიერ მოთხოვნას. აქ უნდა აღინიშნოს ყავა კაპუჩინოს ქაფის მომზადების ინოვაციური ტექნოლოგია. ქაფი მზადდება რძის სპეციალური ფხვნილისაგან "Lattea milk2shower", წყლის მაღალწნევიანი დუშის ზემოქმედებით. ფხვნილი შედგება მშრალი რძისაგან (54%-დან 95%-მდე), რის გამოც ქაფს აქვს ნაღების მდიდრული გემო, არის წარმოუდგენლად ჰაეროვანი და მკვრივი. აპელანტის პოზიციით, ზემოთ მოყვანილი ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ კომპანია „Melitta” ნახევარ საუკუნეზე მეტია ცნობილია უშუალოდ ყავის ბიზნესში, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი "მელიტა Melita Мелита", რომელიც რეგისტრირებულია შპს "ბარამბო"-ს სახელზე (მოწმობა N22660), დარეგისტრირებულია საერთაშორისო კლასიფიკაციის 30 კლასის მხოლოდ ვიწრო და სპეციფიური ჩამონათვალისათვის, კერძოდ: „საკონდიტრო ნაწარმი, მათ შორის შოკოლადის კონფეტი და კარამელი, ნაყინი, პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი”. გარდა ამისა, ინტერნეტიდან, (კერძოდ, მისი ქართული ნაწილიდან) ცნობილია, რომ

აღნიშნული ნიშანი მართლაც გამოიყენება მფლობელის შპს "ბარამბო"-ს მიერ კარამელი-კონფეტების ინდივიდუალიზაციისათვის ( http://www.barambo.ge/en/products/detail/90/sweet,http://www.barambo.ge/en/products/detail/130/sweet და სხვ.). აპელანტის მითითებით, განმცხადებელმა კომპანიამ „Melitta”-მ, შეიტანა განცხადება WIPO-ში იმის თაობაზე, რომ შემცირდეს განცხადებული ნიშნის საქონლის ჩამონათვალი და დარჩეს მხოლოდ ყავა და მასთან დაკავშირებული პროდუქცია, შესაბამისად, ამოღებულ იქნას ჩამონათვლიდან ნებისმიერი საკონდიტრო ნაწარმი და მათი მსგავსი საქონელი. 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი შეიზღუდა შემდეგ ნაირად: „coffee; coffee extracts; instant coffee” (ყავა; ყავის ექსტაქტები; ყავა ხსნადი). აპელანტის განმარტებით, ნათელია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კლასიფიკაციის ერთ კლასში არის მოთავსებული “ყავა” და “საკონდიტრო ნაწარმი”, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ერთგვაროვნად, რადგან ისინი არ არიან ურთიერთშემცვლელი, რაც საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის მწარმოებლის მიმართ. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია „Melitta”–ს პროდუქციას აქვს დიდი პოპულარობა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და კომპანია აქტიურად აფართოებს საქმიანობას დსთ-ს ქვეყნებში და საქართველოში, კომპანია „Melitta”-სთვის მნიშვნელოვანია კომბინირებული სასაქონლო ნიშნის “Melitta” სამართლებრივი დაცვა საქართველოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №2398/03 ბრძანების ბათილად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Melitta” (საიდ. 68495/03 IR 532631) უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე 30-ე კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და აღნიშნული ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას საქართველოში 30-ე კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „ყავა; ყავის ექსტრაქტები; ყავა ხსნადი” (Coffee; coffee extracts; instant coffee).

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი „Melitta" (საიდ. №68495/03 IR 532631) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „მელიტა Melita Мелита" (საიდ. №61327/03) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან მართალია განცხადებული ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად შეიცავს წითელ ფიგურაში ჩასმულ სტილიზებულად შესრულებულ სიტყვიერ აღნიშვნას „Melitta"-ს გამოსახულებას, სადაც ფიგურა შემოწერილია ოქროსფერი ზოლით, მაგრამ აღნიშნული გამოსახულება ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ლათინური ასოებით, სადაც პირველი ასო ასომთავრულად არის შესრულებული, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სამ ენაზე რუსულად, ქართულად და ლათინურად. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის ლათინურად შესრულებული სიტყვა „Melita" შესრულებულია სტანდარტულად, სადაც განცხადებული ნიშნის მსგავსად მხოლოდ პირველი ასო არის ასომთავრულად შესრულებული. განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს აქვთ იდენტური საწყისი ნაწილები და იდენტური დაბოლოება. განცხადებული სასაქონლო ნიშანი შეიცავს დამატებით კიდევ ერთ ლათინურ ასოს „t", რომელიც ვერ სძენს ნიშნებს იმ

დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის იდენტურად, როგორც „მე-ლი-ტა". მსგავსია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი, კერძოდ მართალია, განმცხადებელმა შეზღუდა 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალი და იგი ითხოვს სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებას იმ საქონლის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია ყავასთან, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კი რეგისტრირებულია იმ საქონლის მიმართ, რომელიც დაკავშირებული ტკბილეულობასთან და საკონდიტრო ნაწარმთან, მაგრამ კოლეგია განმარტავს, რომ ამ ორივე საქონელს აქვს ერთი და იგივე რეალიზაციის ადგილი, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Melitta" (საიდ. №68495/03 IR 532631) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „მელიტა ჰაუშალტსპროდუქტე გმბჰ & კო. კგ”-ის (Melitta Haushaltsprodukte GmbH & Co. KG) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 25 ნოემბრის №2398/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭების შესახებ საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

| | |
|---|---|
| კოლეგიის თავმჯდომარე: | ი. გიქორაშვილი |
| წევრები: | დ. ჭიჭინაძე |
| | მ. ბ. |